

ზოგადი წინადადება

დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო მიხეილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს საქმისწარმოება N10638/20 განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტს. განმცხადებლის ინტერესებს წარმოადგენს ა(ა)იპ „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)“-ის წარმომადგენელი ქ. ბ.

1. ფაქტობრივი გარემოებები

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, განმცხადებელი ვერ ახერხებდა ერთ-ერთ უნივერსიტეტში სწავლის დაწყებას იმის გამო, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მას მოსთხოვა სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, ის კი არის ტრანსგენდერი ქალი და რიგი გარემოებების გათვალისწინებით, მოკლებული იყო შესაძლებლობას, მოეპოვებინა აღნიშნული დოკუმენტი.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმისწარმოების დაწყებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ინფორმაციის გამოთხოვის შემდეგ, განმცხადებელს მიეცა შესაძლებლობა, ხსენებული დოკუმენტის წარდგენის გარეშე დაეწყო სწავლა, რის შედეგადაც, კონკრეტულ შემთხვევაში, პრობლემა აღმოიფხვრა.

თუმცა, 2020 წლის 4 თებერვალს განმცხადებლის წარმომადგენელმა სახალხო დამცველის აპარატს მომართა N12123/20 დამატებითი განცხადებით, რომელშიც მიუთითებს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან ტრანსგენდერი ქალებისთვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის მოთხოვნა ხშირია. შესაბამისად, იმის გამო, რომ მათ არ შეუძლიათ შეცვალონ გენდერის მარკერი პიროვნების დამადასტურებელ დოკუმენტებში, ტრანსგენდერ ქალებს ეკისრებათ ვალდებულებები, რომლებიც განსაზღვრულია იმ პირების მიმართ, რომელთა სქესის შესახებ ჩანაწერიც „მამრობითია“. განმცხადებელი, გენდერის სამართლებრივი აღიარების მექანიზმის არარსებობის პირობებში, მსგავს მოპყრობას დისკრიმინაციულად მიიჩნევს.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან¹ და სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან“².

საპასუხო კორესპონდენციებით³ დადგინდა, რომ უნივერსიტეტების მოთხოვნა ზემოხსენებული დოკუმენტის წარდგენის თაობაზე, ეფუძნება „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტს, რომლის თანახმადაც: „აბიტურიენტის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.“

არსებული მოწესრიგების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით კი, განიმარტა,⁴ რომ აბიტურიენტის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის მოთხოვნა უკავშირდება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ იმ პირობებს, რომლებიც წარმოიშობიან საქართველოს მოქალაქის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მინიჭების ან შეწყვეტის შემთხვევებში.⁵

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ხაზს უსვამს, რომ სამინისტრო უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს როგორც სოციალურ-ეკონომიკური კუთხით (სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში უმაღლესი განათლების დაფინანსების სხვადასხვა ტიპის მექანიზმების ამოქმედების გზით), ისე - სამართლებრივი კუთხით (უმაღლესი განათლებაში დაშვების სხვადასხვა მექანიზმების არსებობის, სტუდენტის სამართლიანი შეფასებისა თუ მისი სხვა უფლებების დაცვისათვის/რეალიზაციისათვის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მექანიზმების მეშვეობით სათანადო გარანტიების შექმნის გზით). თუმცა, იქვე

¹ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის 11 ნოემბრის N13-3/11258 წერილი; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის 11 დეკემბრის N13-3/12283 წერილი.

² საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის 25 ნოემბრის N13-3/11633 წერილი.

³ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 14 ნოემბრის N MES 5 20 0001094893 წერილი; სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 7 დეკემბრის N MES 6 20 0001161668 წერილი.

⁴ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2021 წლის 18 იანვრის N MES 6 21 0000010377 წერილი.

⁵ ხაზგასმულია „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი და ამავე კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ¹“, „ე“ და „ე“ ქვეპუნქტები, რომელთა თანახმადაც, ყველა მოქალაქე ვალდებულია იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე (გარდა იმ პირებისა, რომლებიც არ ექვემდებარებიან სამხედრო აღრიცხვას); ამასთან, წვევამდელს სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება, თუ არის საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი - სწავლის დამთავრებამდე, უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე.

მიუთითებს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისას სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ვალდებულებისაგან ცალკეულ პირთა გათავისუფლების საკითხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქართველოში მოქმედ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისა და აღრიცხვის ერთიან სისტემაზე, რომლის ფარგლებშიც უფლებამოსილი ორგანოები დადგენილია „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით და აღნიშნული კანონით განსაზღვრულ საკითხთა რეგულირება სცილდება სამინისტროს კომპეტენციებს.

2. სამართლებრივი შეფასება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც შეისწავლის დისკრიმინაციის კონკრეტულ ფაქტებს და გამოსცემს რეკომენდაციებს ან ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ამავე კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ყველა ქმედებებზე ყველა სფეროში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით.

კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველი ზოგად წინადადებას გამოსცემს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს დისკრიმინაციის წახალისებას, უარყოფითი სტერეოტიპების და სტიგმის გაძლიერების ან ისეთი გარემოს შექმნის ხელშეწყობას, რომელმაც, შესაძლოა, მომავალში გამოიწვიოს კონკრეტული ადამიანების თუ ჯგუფების უფლებების შეზღუდვა დისკრიმინაციული საფუძველით.

2.1. ზოგადი კონტექსტი

საზოგადოებაში ფესვგადგმული ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობების გამო, ლგბტ+ ადამიანებისთვის სოციალური და ეკონომიკური უფლებებით დაუბრკოლებლად სარგებლობა მნიშვნელოვან პრობლემებს უკავშირდება. მათ შორის, თვალსაჩინოა განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული გამოწვევები. სახალხო დამცველი წლების განმავლობაში ხაზს უსვამს ისეთი საგანმანათლებლო სისტემის არარსებობის საკითხს, რომელიც თავისუფალი იქნება ჰომოფობიური და ტრანსფობიური წარმოდგენებისგან, არაკეთილგანწყობილი გარემოსგან და ხელს შეუწყობს ადრეული ასაკიდანვე ტოლერანტული ღირებულებების განვითარებას სკოლის მოსწავლეებში.⁶ ხშირია ჰომოფობიური განწყობები მასწავლებლებში, რაც აღვივებს და ახალისებს ძალადობრივი ფაქტების მიმართ უმოქმედობას.⁷ ჰომოფობიური გამონათქვამებისგან დაცლილი არ

⁶ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 650; საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 140.

⁷ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 650.

არის არც უმაღლესი განათლების საფეხური.⁸ საქართველოს საჯარო სკოლებსა და საუნივერსიტეტო სივრცეებში გაბატონებული ამგვარი ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობა და არაკეთილგანწყობილი გარემო აძლიერებს განათლების უფლებით სარგებლობის შეზღუდვას ლგბტ+ თემის წევრებისთვის, ქმნის მტრულ გარემოს და აღნიშნული სივრციდან მათ გარიყვას იწვევს.⁹ გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასებით, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე განათლების სისტემიდან გარიყვა საქართველოში ნორმის სახით ვლინდება.¹⁰

გარდა ზემოაღნიშნულისა, ტრანსგენდერი ადამიანებისთვის კვლავ პრობლემად რჩება პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილება, რაც არსებული კანონმდებლობისა და დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა პირს უკვე ჩატარებული აქვს სქესის კვლავმინიჭების პროცედურა.¹¹ შედეგად, ტრანსგენდერ პირებს პრობლემები ექმნებათ საჯარო ურთიერთობებში მონაწილეობის, განათლების, დასაქმებისა თუ ჯანდაცვის სერვისების მიღების პროცესში, რაც უარყოფითად აისახება მათ უფლებრივ მდგომარეობაზე.¹²

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის განმარტებით, მაიდენტიფიცირებელ დოკუმენტებში სქესისა და სახელის შეცვლის პროცედურებზე ხელმისაწვდომობა ტრანსგენდერი ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რათა მათ შეძლონ თავიანთი გენდერული იდენტობის შესაბამისად ცხოვრება.¹³ კომისარი ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, დაწერონ სწრაფი და გამჭვირვალე პროცედურები დაბადების მოწმობებში, პირადობის დამადასტურებელ ბარათებში, პასპორტებსა და სხვა მსგავს დოკუმენტებში ტრანსგენდერი ადამიანების სახელისა და სქესის შეცვლისათვის.¹⁴ იქ, სადაც მსგავსი პროცედურები არ არსებობს, ტრანსგენდერ ადამიანებს, თავიანთი ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ხელი ეშლება საზოგადოებრივ

⁸ მაგალითისთვის, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მიმართ, ხელმისაწვდომია: < <https://ombudsman.ge/res/docs/2019040915283473364.pdf> > [16.02.2021].

⁹ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 650, ეყრდნობა: ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2016; საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 150.

¹⁰ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციის საკითხებში გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში საქართველოში ვიზიტის თაობაზე, 2019, პარ. 31, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/qz7tdg> > [16.02.2021].

¹¹ საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 141; „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის „ზ“ პუნქტი; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივნისის განჩინება N38/108-16.

¹² საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 141.

¹³ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი, ადამიანის უფლებები და გენდერული იდენტობა, გვ. 7, ხელმისაწვდომია: < <https://rm.coe.int/16806da753> > [16.02.2021].

¹⁴ იქვე, გვ. 18.

ცხოვრებაში მონაწილეობაში, განათლებასა თუ დასაქმებაზე წვდომაში, რადგან აწყდებიან განგრძობად პრობლემებს იმისთვის, რომ „დაამტკიცონ“ თუ ვინ არიან.¹⁵

აღსანიშნავია, რომ სქესის შესახებ ჩანაწერების შეცვლა არ უნდა იყოს დამოკიდებული ისეთ წინაპირობებზე, როგორებიცაა: სქესის კვლავ მინიჭების სამედიცინო პროცედურა, სტერილიზაცია ან ჰორმონალური მკურნალობა.¹⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მსგავსი მოთხოვნები ეწინააღმდეგება ადამიანის ფიზიკური მთლიანობის პატივისცემას და წარმოადგენს ჩარევას მის პირად ცხოვრებაში.¹⁷ ამასთან, ამგვარი მოპყრობა იწვევს ძლიერ და სამუდამო ფიზიკურ და მენტალურ ტკივილსა და ტანჯვას, თვითგამორკვევის უფლებისა და ადამიანის ღირსების შელახვას და საფუძველს უმყარებს ტრანსგენდერი ადამიანების დისკრიმინაციას.¹⁸ აღნიშნულის გათვალისწინებით, საერთაშორისო აქტორები, სახალხო დამცველი და ადგილობრივი ორგანიზაციები მუდმივად მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დაარეგულიროს სამოქალაქო აქტებში სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლის პროცედურა.¹⁹

2.2. არსებული მოწესრიგების ფაქტობრივი შედეგები თანასწორობის პრინციპის კრილში

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებები აბიტურიენტებისგან ითხოვენ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას. ამდენად, დღეის მდგომარეობით, უმაღლესი განათლების მიღება დამოკიდებულია, მათ შორის, ამ უკანასკნელი დოკუმენტის მოპოვებაზე.

მოქმედი კანონმდებლობით, ყველა მოქალაქე ვალდებულია იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე. სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება ქალი, რომელსაც არ გააჩნია სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობა.²⁰ შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისთვის, სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება მხოლოდ კაცებს ეკისრებათ. თუმცა, იმის გამო, რომ საქართველოში გენდერის აღიარების

¹⁵ იქვე, გვ. 9.

¹⁶ იქვე, გვ. 8.

¹⁷ იქვე; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: *A.P., GARÇON AND NICOT v. FRANCE*, პარ. 127

¹⁸ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციის საკითხებში გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში საქართველოში ვიზიტის თაობაზე, 2019, პარ. 66-67, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/qz7tdg> > [16.02.2021].

¹⁹ იქვე, პარ. 90; საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 152; საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 209; „კოალიცია თანასწორობისთვის“ 2018 წლის 12 ივნისის განცხადება, ხელმისაწვდომია: < <https://rb.gy/h1z6vz> > [16.02.2019].

²⁰ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობს, ტრანსგენდერი ქალების პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში მამრობითი სქესია მითითებული, რის შედეგადაც, როგორც ა(ა)იპ „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)“ მიუთითებს, ხშირია უნივერსიტეტების მხრიდან მათთვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის მოთხოვნა.

ადამიანის გენდერული იდენტობა, შესაძლოა, შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს მისთვის დაბადებისას მინიჭებულ სქესს.²¹ გენდერული იდენტობის მიუხედავად, უზრუნველყოფილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობა.²² სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ყველა აუცილებელი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებები განათლებაზე თანასწორი წვდომის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე.²³

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, ირიბი დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც არსებული წესი ან პრაქტიკა არის ნეიტრალური - უფლებით სარგებლობისას არ აწესებს შეზღუდვას რომელიმე ჯგუფის მიმართ, თუმცა, არაპირდაპირ, გამორიცხავს რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ უფლების გამოყენებას. ამასთან, ამგვარი მიდგომით პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი ან განსხვავებული მოპყრობა ასეთი მიზნით მიღწევის არაპროპორციული საშუალებაა.

მოცემულ შემთხვევაში, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის 39-ე მუხლი ტრანსგენდერ ქალებს პირდაპირ არ უწესებს შეზღუდვას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვაზე. თუმცა, გენდერის აღიარების სამართლებრივი მექანიზმის არარსებობიდან გამომდინარე, ისინი იმგვარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, როდესაც ვალდებულნი არიან, შეასრულონ იმ პირთა მიმართ განსაზღვრული მოთხოვნა, რომელთა სქესის შესახებ ჩანაწერიც „მამრობითია“ მაშინ, როცა მათი გენდერული იდენტობა (ქალი) არ შეესაბამება მათთვის დაბადებისას მინიჭებულ სქესს (მამრობითი). შედეგად, უმაღლეს განათლებაზე წვდომის უფლების მქონე სხვა აბიტურიენტებისგან განსხვავებით, ისინი ვერ ახერხებენ თავიანთი გენდერული იდენტობის შესაბამისად ცხოვრებას და, ამავდროულად, განათლებაზე უფლების რეალიზებას.

ამგვარი ფაქტობრივი შედეგის ნეგატიური ეფექტი ტრანსგენდერი ქალების მიმართ კიდევ უფრო მეტად საზიანოა, ერთი მხრივ, იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც ზოგადი კონტექსტის მიმოხილვისას აღინიშნა, მათთვის განათლების უფლების რეალიზება ისედაც საკმაოდ მწვავე პრობლემებთან არის დაკავშირებული, ხოლო, მეორე მხრივ, ისინი მნიშვნელოვან ბარიერებს აწყდებიან სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვების პროცესშიც. მაგალითად, განსახილველი საქმის ფარგლებში, განმცხადებელი, იმ სტრესთან და ტკივილთან

²¹ იოგიაკარტას პრინციპები, პრეამბულა, გვ. 8.

²² „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი.

²³ იოგიაკარტას პრინციპები, პრინციპი 16(A).

ერთად, რომელიც საკუთარი გენდერული იდენტობის შესაბამისად თვითგამოხატვის შესაძლებლობების შეზღუდვას უკავშირდება, ხაზს უსვამდა იმ გარემოებასაც, რომ მოთხოვნილი დოკუმენტის გაცემა ხორციელდება იურიდიული მისამართის შესაბამისად, მას კი ოჯახთან არ აქვს კონტაქტი, ხოლო, ნაცნობები და ნათესავები მის მიმართ მტრულად არიან განწყობილნი. შესაბამისად, რეგისტრაციის ადგილზე ჩასვლის შემთხვევაში, იგი, შესაძლოა, აღმოჩენილიყო აგრესიისა და ჰომოფობიური დანაშაულის მსხვერპლი. სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი სოციალური მუშაკის ახსნა-განმარტების მიხედვით, განმცხადებელს გაძლიერებული ჰქონდა შფოთვა, ვინაიდან უწყვედა ფიქრი და მოქცევა იმ სქესის მიხედვით, რომელსაც ბავშვობიდან გაურბის. სოციალური მუშაკის შეფასებით, განსახილველი დოკუმენტის წარდგენის მოთხოვნა საფრთხეს უქმნის განმცხადებლის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას და ღირსებას.

ამდენად, აბიტურიენტებისთვის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის მოთხოვნის შესახებ არსებული ნორმის საფუძველზე დამკვიდრებული პრაქტიკა არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ტრანსგენდერ ქალებს სხვა სტუდენტებთან მიმართებით და უზღუდავს მათ უმაღლეს განათლებაზე წვდომის უფლებას.

3. დასკვნა

ზემოთ მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, არსებული პრაქტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად მაღალია ტრანსგენდერი ქალების განათლების უფლებაში ჩარევის ხარისხი. აღნიშნულთან ერთად, სახალხო დამცველის შეფასებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის არსებული წესი, ფაქტობრივი შედეგებიდან გამომდინარე, ამყარებს იმ მცდარ წარმოდგენებს, რომელთა თანახმადაც, ადამიანის ბუნება იყოფა ბინარულ სისტემაში ქალზე და მამაკაცზე მითითებით, დაბადებისას მათთვის მინიჭებული სქესის საფუძველზე და რომ ადამიანები ზუსტად ერთნაირად, ექსკლუზიურად მხოლოდ ამ სისტემაში ხვდებიან.²⁴

იმის გათვალისწინებით, რომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მითითების შესაბამისად, განსახილველი პრობლემის გადაჭრა, შესაძლოა, დამოკიდებული იყოს ისეთ საკითხებზეც, რომლებიც სხვა უწყებების კომპეტენციას მიეკუთვნება ან სხვა სისტემურ გამოწვევებს უკავშირდება, ქვეყანაში გენდერის სამართლებრივი აღიარების სათანადო მექანიზმის დანერგვამდე უმნიშვნელოვანესია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გაითვალისწინონ არსებული პრაქტიკის ნეგატიური შედეგები და დანერგონ მოქნილი მიდგომა უმაღლეს განათლებაზე ტრანსგენდერი ქალების შეუფერხებელი წვდომის უზრუნველსაყოფად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის

²⁴ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციის საკითხებში გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის თაობაზე, 2018, პარ. 6, ხელმისაწვდომია: < <https://undocs.org/A/73/152> > [17.02.2021].

შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს მიმართავს ზოგადი წინადადებით,

- საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გაუზიაროს წინამდებარე ზოგადი წინადადება და მიაწოდოს ინფორმაცია, რომ აბიტურიენტების/სტუდენტების დაწესებულებებში ჩარიცხვის პროცესში პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სქესის მიხედვით განსაზღვრული ფორმალური წინაპირობების გათვალისწინების ნაცვლად, დანერგონ მოქნილი მექანიზმები/მიდგომები უმაღლეს განათლებაზე ტრანსგენდერი ქალების შეუფერხებელი წვდომის უზრუნველსაყოფად.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,